

ეროვნული უმცირესობა, დიასპორული ქსელი და რბილი ძალის
ფაქტორი

(სომხური ეთნიკური უმცირესობა - სომხური დიასპორული ქსელი)

მარი ხარშილაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარი ხარშილაძე

22.01.2019

აბსტრაქტი

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნებისმიერი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ნაშრომში განხილულია საქართველოს სომხური უმცირესობის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი და აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული პრობლემები და ბარიერები. ასევე კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ აქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოში მცხოვრებ სომხებზე და როგორ შეიძლება იმოქმედონ ამ ფაქტორებმა საქართველოს როგორც შიდა, აგრეთვე საგარეო პოლიტიკაზე. ვინაიდან სომხური ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების დიდი ნაწილი კომპაქტურად დასახლებულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, კვლევის ძირითადი ფოკუსი ამ რეგიონზეა მიმართული. კვლევის საკითხი და ჰიპოთეზები განხილულია რბილი ძალისა და სოციალური იდენტობის თეორიის კრილში. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდოლოგიის შემდეგი მეთოდები: პირველადი და მეორადი წყაროების დისკურს-ანალიზი, პროცესის მიდევნება, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. როგორც წესი, მოცემულ საკითხზე ჩატარებული კვლევები მეტად ფოკუსირებულია ჯავახეთის რეგიონზე (ახალქალაქი, ნინოწმინდა) და ყურადღების მიღმა რჩება ახალციხის რაიონი. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევაში ასახულია ქ.ახალციხეში არსებული ვითარებაც, ვინაიდან ბევრი მახასიათებლის მიხედვით იგი განსხვავდება ახალქალაქის რეგიონისაგან (მოსახლეობის კონცენტრაცია, ინტეგრაციის დონე), შესაბამისად ჯავახეთში ჩატარებული კვლევების შედეგების განზოგადება სამცხეს რეგიონზე არასანდო იქნება. კვლევის შედეგად გამოიკეთა საქართველოს მთავრობების მიერ სხვადასხვა პერიოდში უმცირესობებზე მიმართული პოლიტიკის თავისებურებები, ინტეგრაციისათვის ჩატარებული რეფორმების ეფექტურობა და ხარვეზები, ასევე გაანალიზდა სომხეთისა და სომხური დიასპორის როლი ეთნიკურ უმცირესობასთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობა, რბილი ძალა, სოციალური იდენტობის თეორია, დიასპორა, სომხები, ინტეგრაცია, სამცხე-ჯავახეთი, რეფორმების ეფექტურობა

Abstract

The social integration of ethnic minorities is an important issue for any state. The study deals with the process of civic integration of the Armenian minority of Georgia and the problems and barriers related to the process. Another subject of this paper is to identify the main actors affecting Armenians in Georgia and how these factors affect Georgia's internal and foreign policy. Since the majority of the ethnic Armenian minority is compactly settled in Samtskhe-Javakheti region, the main focus of the research is directed towards this region. The study is discussed in the context of soft power and social identity theory. There are used the following methods of qualitative methodology: primary and secondary source analysis, case study, process tracing, semi-structured interview. As a rule, research on this issue focuses more on Javakheti region (Akhalkalaki, Ninotsminda), while there is no information about Samtskhe region (Akhalsikhe). Therefore, the current study also reflects the situation in Akhalsikhe as it differs from the Akhalkalaki region (concentration of population, integration level). The results of the study showed Georgian policy toward minority and effectiveness of reforms, also was indicated and analyzed the role of Armenia and Armenian diaspora related to the ethnic Armenian minority in Georgia.

Keywords: Ethnic minority, Soft Power, Social identity theory, Diaspora, Armenians, Integration, Samtskhe-Javakheti region, Effectiveness of reforms